ჰამდალლაჰ ყაზვინის ერთი ცნობის გამო

შოთა რუსთველის ეპოქა ქართველი ხალხის დიდ შემოქმედებით შესაძლებლობათა გამოვლინების ხანა იყო. ბრწყინავენ იმ დროის წარმატებანი, კერძოდ, ეკონომიკის სფეროში. კანონზომიერი ჩანს ისტორიკოსის უწყებაც: „აზნაურის ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს"[1] (თამარის ისტორიკოსი), უკვდავი პოეტის გამოძახილიც: „ლარსა ჰხვეტდიან ლაშქარნი"-ო („ვ. ტყ"., 54, 4).

იმ ისტორიულ დროთა სოციალურ-ეკონომიური საფუძვლების მეცნიერულ კვლევას, სათანადო წყაროების, საბუთების კრიტიკულ შესწავლას დასაბამი აკად. ი. ჯავახიშვილის უკვე ადრინდელ შრომებში მიეცა. ჩვენს შემთხვევაში უნდა დავასახელოთ მეცნიერის „საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი" (ტფ., 1907). ამ ნაშრომში უხვად არის წარმოდგენილი XI—XIII საუკუნეთა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური სიძლიერის მაჩვენებელი მოწმობა-მითითებანი, რეალიები და სხვ. (იხ. კერძოდ, თავი მესამე: „საქართველოს სამეფოს საფინანსო წესწყობილება", გვ. 45 და შდგ.). დამოწმებულ უცხოურ ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით გამოყენებულია ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის ა. კრემერის ნაშრომიც („აღმოსავლეთის ხალიფათა დროის კულტურის ისტორია"); მერმე შესაძლებელი გახდა კვლევის მეტი გაღრმავება, საკითხის შესწავლა მთელი იმდროინდელი ახლო აღმოსავლეთის საერთო ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით მუშაობის კარგი შედეგების საწინდარი იყო ი. ჯავახიშვილის მიერ გაცნობა და გამოყენება შესანიშნავი სპარსელი გეოგრაფის ჰამდალლაჰ ყაზვინის (XIV ს.) ნაშრომისა.

---

1 ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942, გვ. 241, 33.

ი. ჯავახიშვილი თავის კაპიტალურ წიგნში „საქართველოს ეკონომიური ისტორია", წ. I[2] (IV. აღწერილობითი წყაროები, გვ. 113—128), მკითხველს დაწვრილებით აცნობს ყაზვინის ნაშრომის ბიბლიოგრაფიას და იმ მნიშვნელობას, რომელიც ყაზვინის გეოგრაფიულ ტრაქტატს აქვს — ჩვენი მეცნიერის სიტყვით — „საქართველოს სამეფოს შემოსავლის" შესასწავლად (გვ. 115). ყაზვინის ნაშრომი დაწერილია 1340 წ. (იქვე), ვ. ბარტოლდის მიხედვით კი 1339 წ.[3] ი. ჯავახიშვილი აქედან ვარაუდით ასკვნის, რომ ყაზვინის „ცნობები მონღოლთა დროინდელი ბატონობის შემოსავლის შესახებ დაახლოებით მე-XIV ს. პირველი მეოთხედისა და მეორე მეოთხედის პირველი ნახევრის ფინანსიურ მდგომარეობას ჰგულისხმობს". ვ. ბარტოლდის დასკვნით, ყაზვინის თავისი ცნობები (ცნობები იმ გადასახადების შესახებ, რომელნიც მონღოლთა სახელმწიფოში შემავალ ქვეყნებს შეჰქონდათ სპარსეთის მონღოლ ყაენთა, ანუ ილხანთა სალაროში) უნდა ამოეღო გადასახადთა 1336 წლის ნუსხიდან[4]. ყაზვინის ამავე ხასიათის ცნობა მოჰყავს საქართველოს დამოუკიდებლობის (მონღოლთამდელი) ხანის შემოსავლის შესახებაც; ის ცნობა, ი. ჯავახიშვილის ვარაუდით, „საფიქრებელია, რომ მე-XII ს. უნდა ახასიათებდეს" (გვ. 117—118).

აქვე შევნიშნოთ, რომ ჰამდალლაჰ ყაზვინის ნაშრომის ნაწილი რომელიც მოიცავს საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების აღწერას (აზერბაიჯანი, არანი, შარვანი და სხვ.), გამოაქვეყნა თარგმანით და შენიშვნებით ვ. ფუთურიძემ („ისთახრი. ჰოდუდ ალ-ალემი. ჰამდალლაჰ ყაზვინი", თ., 1937).

ი. ჯავახიშვილმა ყაზვინის ის ცნობები თავისი მიზნისთვის პირველად გამოიყენა 1940 წ. მისი მონაწილეობით დაბეჭდილ ნაშრომში „საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე. ხელნაწერის უფლებით"[5]. ამ წიგნში (გვ. 173) ცალკე აბზაცში ნაჩვენებია მხოლოდ ის თანხები (ოქროს მანეთებზე გადატანილი), რომლებიც, დაბეჭდილი ტექსტის ჩვენებით, შეადგენდნენ დამოუკიდებლობის ხანის, მონღოლთამდელი საქართველოს, მც. აზიის, არაბეთის, ერაყის და ფარსის შემოსავალს. ჩვენ ვკითხულობთ: „საკუთრივ საქართველოს (უყმადნაფიცქვეყნებოდ) ყოველწლიუ-

---

2 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მეორე, ახლად დაწერილი გამოცემა, ტ., 1930.

3 В. Б а р т о л ь д, Персидская надпись на стене Анийской мечети Мануче, СПб. 1911, გვ. 14.

4 იქვე, გვ. 15.

5 დასახ. ნაშრომში ი. ჯავახიშვილის კალამს ეკუთვნის X—XV სს. ამსახველი ნაწილი. ნაშრომის დაწერაში მისი თანაავტორობა გასწიეს ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა და გ. ხაჭაპურიძემ.

რი სახელმწიფოს სალაროს ფულადი შემოსავალი 3 750 000 ოქროს მანეთს უდრიდა“. ამას მოსდევს სიტყვები: „ა მ ა ვ ე ხ ა ნ აში-კი (ხაზი ჩვენია.—ვ. დ.) მცირე აზიის შემოსავალიც კი 2 475 000 მან., არაბეთის ერაყის 2 250 000 მან. და ფარსის 2 153 460 მან. შეადგენდა. — მერმე აღნიშნულია ინგლისის (1300 წ.) და საფრანგეთის (1311 წ.) შემოსავალიც. ეს ცნობები შემდეგში ზემოთ დასახელებული „საქართველოს ისტორიის“ საფუძველზე გაკეთებულ სასკოლო სახელმძღვანელოებშიც შევიდა[6].

საქართველოს ფულადი შემოსავლის დონის შედარებითი მეთოდით ჩვენება, რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი და ეფექტურია. ოღონდ მოტანილ აბზაცში შესადარებელი მონაცემები, სამწუხაროდ, თავ-თავის ადგილზე არ არის გამოყენებული. ეს ეხება წინა აზიის სამი ქვეყნის შემოსავალს. თუ საქართველოს შემოსავალი (3 750 000 მან.) აღებულია, როგორც შემოსავალი დამოუკიდებლობის დროისა, „ოქროს ხანისა“, მცირე აზიის, არაბეთის, ერაყის და ფარსის შემოსავალი აღებულია, გაუგებრობის ძალით, მონღოლთა ბატონობის ხანისა, მაშასადამე, ამ სამ ქვეყანაში ფინანსების შერყევის დროისა. ძიზომილი აღმოჩნდა უთანაზომო სიდიდეები. დიდი მეცნიერი ი. ჯავახიშვილი, ცხადია, ჯეროვნად არჩევდა საქართველოს და იმ სამი ქვეყნის ეკონომიურ-ფინანსიურ შესაძლებლობებს. ამიტომ იყო, რომ გაკვირვებასავით გამოჰხატა ერთის მეორესთან შედარება: „საქართველოს შემოსავალი 3 750 000 მან. იყო, „იმავე ხანაში (sic!) კი, — წერს იგი, — მცირე აზიის შემოსავალიც კი 2 475 000 მან., არაბეთის ერაყის 2 250 000 მან. და ფარსის 2 153 460 მან. შეადგენდა“-ო. ჩვენ ორი გზით შევამოწმეთ შესადარებელი ერთეულების ხასიათი, დავემყარეთ რა ზემოთ დასახელებული ორი მეცნიერის ნაშრომებს — ვ. ბარტოლდისას და ვ. ფუთურიძისას. ჰამდალლაჰ ყაზვინის ცნობა საქართველოს შესახებ ვ. ფუთურიძის თარგმანში ასე იკითხება: „სახელმწიფო შემოსავალი ამ ქვეყნისა აქაური მეფეების დროს (ე. ი. დამოუკიდებლობის ხანაში. — ვ. დ.) დაახლოებით ეხლანდელ ხუთას თუმანს შეადგენდა, ხოლო ამჟამად (წაიკითხე: მონღოლ ბასკაკთა

---

6 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, ნაწ. I. უძველესი დროიდან XIX ს. დამდეგამდე. ს. ჯანაშიას რედაქციით, თ., 1943, გვ. 217; გამოც. 2, 1946, გვ. 217; გამოც. 3, 1948, გვ. 217. რუსულად: იგივე ავტორები, История Грузии, ч. I. С древнейших времен до начала XIX в., Под редакцией С. Джанашиа, Т., 1946, стр. 228; ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, XI—XV სს., თ., 1949, გვ. 96.

მძარცველობის ხანაში. — ვ. დ.) ას ოცი თუმანი და ორი ათასი დინარია"[7].

აქვე შევნიშნოთ, რომ ეს „თუმნები" მანეთებზე იქნა გადატანილი ვ. ბარტოლდის მიერ (ვ. ბარტოლდი, დასახ. ნაშრ., სპეც. გვ. 23) და ასეთი დაშლილი სახით, მანეთობით, ი. ჯავახიშვილთან იქნა მოტანილი. ახლა მცირე აზია (რუმის სახელმწიფო): ვ. ფუთურიძის თარგმანით, ამის „სახელმწიფო შემოსავალი ამჟამად (ე. ი. მონღოლების ხელში —ვ. დ.) სამას ოცდაათი თუმნის (წაიკითხე: 2 475 000 მ. — ვ. დ.) ოდენობით სწერია დავთარში, ხოლო სელჯუკების დროს ის ათას ხუთას ეხლანდელ თუმანს უდრიდა" (ვ. ფუთურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 24). მაშასადამე, დავსძინოთ ნათქვამს, ამასთან შედარებით — დამოუკიდებლობის დროის საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი სამჯერ უმცირესი ყოფილა.

ერთი სიტყვით, ი. ჯავახიშვილის ნაშრომში წინა აზიის სამი ქვეყნის ფინანსების გაძლიერება-შერყევის ქრონოლოგია აღმოჩნდა თვალმიუდევნელი. ამის შედეგად დასახელებული სამი ქვეყნის ავბედობის დროის შემოსავალი აღმოჩნდა მიღებული ძლიერების ხანის შემოსავლად.

ვ. ბარტოლდის დასახელებულ გამოკვლევაში სიზუსტით მოჩანს საქმის ვითარება. კერძოდ, მეცნიერი, ეხება რა მონღოლთაგან წამხდარ რუმის ფინანსებს, გაკვირვებას გამოთქვამს („Может показаться невероятным", გვ. 23, შენ. 2), რომ მონღოლების სახელმწიფოში ჰამდალლაჰ ყაზვინის დროს, „სწორედ მცირე აზია იყო ასეთი შემოსავლიანი მხარე". მით უფრო საკვირველად მიიჩნევს კაცი ამასო, განაგრძობს მკვლევარი, რომ იქედან ყაზან-ხანის დროსაც-კი (ამისი შეღავათის მომცემი რეფორმები ჩატარდა 1304 წ. — ვ. დ.) შემოსავალი შეადგენდა სულ 60 თუმანს (450 000 მან.)"-ო (იქვე). თუ ყაზვინის ცნობა სწორია, — ვარაუდობს ვ. ბარტოლდი, — მაშინ მცირე აზიის ფინანსების გამომრთელების მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ყაენის მოადგილის თიმურ-ტაშის (1317—1327 წწ.) „სამართლიანი მმართველობა"-ო, და ა. შ.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოტანილი შენიშვნა ჰამდალლაჰ ყაზვინის ცნობათა შესახებ გათვალისწინებულ იქნა სათანადო რედაქციის მიერ „საქართველოს ისტორიის" ახალ გამოცემაში, მაგალითად, დამხმარე სახელმძღვანელოში — „საქართველოს ისტორია" (მთავარი რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი, თბ., 1958).

[7] ვ. ფუთურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

ჰამდალლაჰ ყაზვინის ცნობათა გამომყენებელს, საერთოდ, ამასთან ერთად სჭირდება გაითვალისწინოს ის საგულისხმო შესწორებები, რომელიც ქართველმა ირანისტებმა წარმოადგინეს ჰამდალლაჰის დინარების ახსნა-გაანგარიშებაში. იხ. რ. კიკნაძე, თამღა ილხანთა სახელმწიფოში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის „აღმოსავლური კრებული“, I, სპეც. გვ. 114, (შენ. 85), 115. თბ., 1960.

იბეჭდება პირველად. წაკითხულია ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების სხდომაზე, 1953 წ.